



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კამარა

კამარა (ბერძნ. kamara), მრუდწირული მოხაზულობის გადახურვის სივრცული კონსტრუქცია, რომლის სისქის შეფარდება სიმრუდის რადიუსთან $1/20$ -ზე მეტია (თუკი კონსტრუქციის სისქის შეფარდება სიმრუდის რადიუსთან ნაკლებია $1/20$ -ზე, მაშინ იგი მიეკუთვნება თხელკედლიანი კონსტრუქციების კლასს და მას გარსი ეწოდება). იგი კუმშვაზე მომუშავე კონსტრუქციაა. საყრდენებში, გარდა ვერტ. დატვირთვისა, წარმოშობს ჰორიზონტალურად მიმართულ განმბჯენ ძალას, რ-იც გადაეცემა კედელს, სვეტების რიგს ან მიმდებარე კონსტრუქციებს.

კ. ამოჰყავდათ მცირე ზომის ბუნებრივი ქვისგან ან აგურისგან. კ-ების გავრცელებასთან ერთად იხვეწებოდა და მრავალფეროვანი ხდებოდა მისი სახეობები. კ. გვხვდება ცილინდრული (ყველაზე გავრცელებული სახეობა), ჯვაროვანი, ვარსკვლავისებრი, წიბოვანი, სარკოვანი, სოლოვანი, ისრული, შეკრული, გუმბათოვანი, აფრიანი და ა.შ. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ხუროთმოძღვრებაში სხვადასხვა ტიპის კ-ები იგებოდა. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი , ძვ. ქართ. ხუროთმოძღვრებაში, ეკლესიების გადასახურად კ-ების რამდენიმე სახეობას იყენებდნენ, ყველაზე ხშირად კი – პარალელურ კედლებზე ან სვეტთა რიგებზე დაყრდნობილ ცილინდრულ კ-ებს. ასევე გვხვდება ვარსკვლავისებრი, ისრული (XVI–XVIII სს.) და შეკრული კ-ები. ეს უკანასკნელი კ. ზოგჯერ გუმბათს ცვლიდა (VI ს.; შიომღვიმის ძვ. ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი).

XIX ს-იდან მოყოლებული, როდესაც ძირითად სამშენებლო მასალად მაღალი სიმტკიცის ფოლადი და რკინაბეტონი დამკვიდრდა, შესაძლებელი გახდა მცირე სისქის კ-ების, ანუ გარსების აგება. გარსებით კი, კ-ებთან შედარებით, დიდი მალეების გადახურვა და მრავალფეროვანი არქიტ. გამომსახველობის მქონე ნაგებობების აგებაა შესაძლებელი.

ამჟამად კ-ებს მხოლოდ ძველი ნაგებობების რესტავრაციის დროს იყენებენ.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974; კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა თ., მოკლე რუსულ-ქართული ხუროთმოძღვრული განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1961; ტექნიკური ტერმინოლოგია, თბ., 1977; Л о п а т т о А. Э., Пролеты. Материалы, конструкции, М., 1982; H e y m a n J., The Stone Skeleton: Structural engineering of masonry architecture, Camb., 1995.

გ. ჟვანია
